საიამ ადამიანის უფლებათა კვირეული შეკრების თავისუფლებით დაიწყო

10 დეკემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გამართავს ტრადიციულ ადამიანის უფლებათა კვირეულს.

დღეს, 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ გიორგი ჩხეიძემ 7 ნოემბერს განვითარებული მოვლენები შეაფასა.

მიმართვა სათაურით "ერთი თვე 7 ნოემბრის შემდეგ - შეკრების თავისუფლება, ფუნდამენტური უფლება?" _ გიორგი ჩხეიძემ დღეს ჟურნალისტებს გააცნო.

დღეიდან ყოველდღე, 20 დეკემბრის ჩათვლით, საიას ორგანიზებით ადამიანის უფლებათა კვირეულის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიება მოეწყობა.